

პეტრა, 13 ნოემბერი 1916 წ.

რედაქციის აღრიცხვა:  
თფლილისი, ოლოას ქუჩა, № 6.

— ფასი 15 პაპ. —

# პეტრა

# მათერაზნი

იუმრისფ.  
უურნალი.

№ 46

„ოჯეზი ამყროლდეს თავიდან,  
ერი კი თავადთაგანა“ —  
ეგე ქართული ანდაზი  
გამოთქმულია ჩემგანა.  
სოლომონ ზურგიელიძე.



თ-დი გ. პ. თუშანიშვილი. გისთანა მაქეს ბედნიერება მუსაიფისა?

აკაკი ჩხერიშვილი. თქვენ გელაბარაკებათ დეპუტატი ჩხერიშვილი.

გ. თუშანიშვილი. რით შეგვიძლია გეშასუროთ?

აკაკი ჩხერიშვილი. კახეთის რკინის გზის დეპოს მუშაობა დავალებით მსურს თქვენთან მოლაბარაკება, როდის შემცირება გინასულოთ?

თ-დი თუშანიშვილი. უკაცრავად, დეპოც ჩემია და მუშებიც. მუშებს თუ საქმე აქვთ მე მომზართვენ. აქ შესამეტ პირი საჭირო არ არის.

# სიტყვა

წარმოთქმული დიდუბის პანთეონში 10-დ სოლომონ  
ჯულიანის საფლავზე ბ-50 მაჟარის

მიერ

მაშინ, როდესაც ზეცა ცეცხლს აწევიმებს, რო-  
დესაც ზღვა ღელავს და ბორგავს;

მაშინ, როდესაც ქალაქები იწვის და სოფლები  
ინგრევა, როცა ზარბაზანთა ქუჩილი თვით უფლის  
სავანემდე აღწევს;

მაშინ, როდესაც დიპლომატიური დამოკიდე-  
ბულება აფხაზურ საჭმელასავით გამწვავებულია, რო-  
ცა ეკრაპის ძალი მოუწოდებულა და პატრონს ვე-  
ლარა სცნობს;

მაშინ, როცა მინისტრები მწიფე პანტასავით  
სცეივიან, როცა ერთი ადის და მეორე ჩამოდის სა-  
მეფო ტახტის საფეხურებზე;

მაშინ, როცა სასურასოთ საკითხი პაპილონის  
გოდოლს დაემსგავსა, როცა „პური ჩვენი არსობისა“  
თითქმის არსად არ ცხობისა;

მაშინ როცა ჩვენისახოგადო კულტურულ დაწე-  
სებულებანი კახეთის რკინის გზასავით მიჩონავენ წარ-  
მატების გზაგე, როცა ჩვენი ეკონომიკური აღორ-  
ძინება ტყემლის ტყლაპის ნიადაგზე ხდება;

მაშინ, როცა სიკედილი გაცოდებით იქნებს  
თავის ბასრ ცელსა და როცა ყოველ ხის ძირში  
ჩვენი მოძმეა დამარხული,

ჩვენ მაინც ვკადნიერდებით და ვიგონებთ იმ  
უდიდეს მსხვერპლს, რომელიც შარშან ამ დროს  
უემირა ჩვენი ლიტერატურის ეკლიანმა სამსხვერ-  
პლომ. ჩვენ ვიგონებთ დაუვიწყარ სოლომონ ზურ-  
გიელიძეს, ვიგონებთ და ესტირით, ვიგონებთ და  
ვიცინით.

ბატონებო! ვინც ჩვენს უურნალ-გაზეთობას  
თვალ-ყურს (უფრო თვალს) ადევნებს, მისთვის აშ-  
კარაა, რომ ყველა ქართულ გამოცემას ჰყავს თავისი  
მიცვალებული. სოლომონ ზურგიელიძე-კი ჩვენია;  
ის სრული კუთვნილებაა ჩვენი უურნალისა, მაგრამ  
გარშმუნებთ, მარტო ეს არ არის მიზეზი ჩვენი მწერ-  
ხარებისა და ჩვენი სიცილისა.

ბ-ნებო! „ეშმაკის მათრახის“ პარტია უდევლესი  
პარტია ჩვენს სამშობლოში. მან აღზარდა დიდებუ-

ლი მგოსანი სოლომონი, აღზარდა და აჩუქა სამ-  
შობლოს. სამშობლო მიწამ, როცა ის დაგმარხეო,  
გულში ჩაიკრა მისი ცხედარი და სიყვარულით გა-  
ათბო... (ისმის საერთო ქვითინი) „ენ-მანის“ („ეშმა-  
კის მათრახის“) პარტია დიახაც ამაყობს თავისი ლვი-  
ძლი შეიღით, ის იგონებს და სტირის, ივონებს და  
იკანის! იცინის, ვინაიდან შარშანდლამდე სოლო-  
მონი ცოცხალი იყო, ხოლო სტირის ვინაიდან ის  
ცოცხალი იყო და მოკვდა.

ბ-ნებო! სიცილი ტირილის ქმა და ტირილი  
კიდევ სიცილისა. მათ შორის ისეთოვე კაშშირია,  
როგორც ძილსა და სიცხიზლეს შორის, მაგრამ რაღა  
მე ვილაპარაკო, უმჯობესია მოვიყვან. ოქროს სიტ-  
კვებს ჩვენი უკვდავი მგოსნისას, რომლითაც მან მა-  
მართა ძველ ჩვეულებათა მოწინააღმდევე ახალგაზ-  
რდას ერთ ჩინებულ აღაპზე ქართლის სოფელ  
ღორისკუდში, 1903 წლის 25 აგვისტოს, ნაშაუა-  
ლევის 3 საათზე. (ხალხში დიდი მღლოვარება და  
ოხერა მოისმის) აი ის უკვდავი სიტკვები მოწყალე-  
ნო ხელმწიფონ:

„ვინც იცინის ჯერეო,  
იგ იტირებს მერეო;  
ვინც იტირის ჯერეო  
იგ იცინებს მერეო.“

დიახ, ძნელია, ბ-ნებო, მეტის სისწორითა, სი-  
კვეთრით და მოხდენილობით იმისი გამოთქმა, რაც  
ზემორე სიტკვებში ხელოვნურათ ჩამოსხმულია. სი-  
ცილი ქმა ტირილისა!

და აი, ულმობელმა სიკედილმა, თავისი კლანჭი  
ტრალიკულათ გაჰკრა ამ დიდებულ ქართველს, არ  
დაინდო იმისი უკვდავი ნიჭი, იმისი მრავალრიც-  
ხეოვანი შთამომავლობა, არ შეიძრალა ჩვენი „ენ-მა-  
ნის“ პარტია, არ დაინდო მთელი ქართველი ური  
და წააქცია ბურჯი მისი. (აშკარა და საერთო ტი-  
რილი)

თქვენ ტირით! მაგრამ ნუთუ ტირილი გვმარ-  
თებს ჩვენ, ცოცხალით დარჩენილთ? მართალია სო-  
ლომონი მოკვდა, ის დაგმარხეო, ის აღარ გვყავს,  
ის ჩვენთვის უხილავი შეიქმნა, ის ვეღარ იღაბარა-  
კებს, იგი ცოცხალი აღარ არის; ის უკვე მიწაშია,  
მას ბნელი სავანე ჰეთავავს, იგი სინათლეს ვეღარ  
ხედავს, (მოთქმა) იგი მჭიდროთ არის ჩალურსხმული  
ოთხ ფიცაში, მის გულზე წამების ჯვერია აღმარ-  
თული... (აუწერელი მოთქმა გოდებაა გამეფებული)

მაგრამ, ბატონებო, ის ცოცხალია, ის ჩენთან არის, ის ჩენია გვედავს, ჩენს ბედს უქოშარის, ჩენს ჭირსა და ვარამს იზიარებს, (ხალხი წყნარდება) ჩენი ენით ლაპარაკობს, ჩენს მიწაზე დადის, ჩენი შეით თბება; დიახ, ის არ მომკვდარა, მოკვდა მხოლოდ მისი სხეული; მოხდა ის რაც უნდა მომხდარიყო, „მომაყვდავი კვდებაო, ცოცხალი კი სუნთქვესო“ (სოლ. ზურ).

გადახედეთ ჩენს სამშობლოს მთელს სიგრძე სიგანეზე და ოქვენ დაინახავთ, რომ ყოველს დარგში მას უხეათ დარჩა ღირსეული მემკვიდრენი. ვინ არიან ღირსეული ფილოსოფისი გრიგოლ რობაჟიდე, გერონტი ქიქოძე, დავით კასრაძე, თუ არ მემკვიდრენი ჩენი უკვდავი სოლომონისა? განა მარტო ფილოსოფიაში? მგოსნებზე რომ არა ესთქათ, ვინაიდან ისინი პირწმინდათ მისი მემკვიდრენი არიან, უურნალისტიკაში მის სახელს ამშენებენ ოედო ღლონტრი, ჯაჯანაშვილი, იოსებ არიმათელი და სხ.; ბელეტრისტიკაში ოვ. გომართელი, ალ ჯუმბაძე, მ. ადამშვილი. კრიტიკაში — ივანე აბაშიძე, გრ. ამალელობელი, ამ ბოლო დროს ბ-ნი სილოვანი. პედაზოგიკაში პატივულებული ლ. ბოცაძე, ბ-ნი გრ. ბურქულაძე; იუმირისტიკაში კი, თუ ეს მეტისარობში არ ჩამომიტევა, თქვენი უმორჩილესი მონა ეშმაკი და სხვანი.

თქმული ჩემ მიერ შეეხება, ბატონებო, წარსულისა და აწმეოს, მაგრამ „ენ-მანისტების“ პარტია მიზანს თავისი არსებობისას წარსულში არ ექებს. მისი „მომავალი მომავალშია“, როგორც სხარტულათ სთქვა ნეტარსენებულმა. ამ თვალთახედვის წერტილის ისარჩე თუ დავდგებით, მე თამაშად შემიძლია ესთქვა, რომ ჩენი მომავალი თაობა არა ერთსა და ორ სოლომონებს წირმოშობს სამშობლოს საკუთილდღეოთ და ხავალალოთ. გოქარი განვმარტო:

საკუთილდღეოთ უამსა სიცოცხლისასა, სადალილოთ, შემდგომად გარდაცალებისა.

აწ' კი მშეიდობით ჩენის ქვეყნის სიმაყევ, ჩენი პარტიის ბურჯო და რედაქციის ვარსკევლავო! განისვენ ნეტარის განსვენებით იქ, სადაც შენს ირგვლივ არა ერთი შენებრ უკვდავი განისვენებს. შენი სახე ჩირალდნათ ანთა იალბუზისა და მყინვარის წვეროებზე, რომ იქიდან გზა ეკლოვანი გავინათოს ჩენ, შენს მიმდევრებსა და თაყვანისმცე-

მელო, ხოლო დიდების სხივით შემოსილი უკვდავი სახელი შენი მარადის იქნება ჩენ შორის თითოთ საჩერენებლათ. ამინ.

ეჭმაკი.

## რაც მოხედა

ცხადია ჩენი უკვდავი მგოსნის, სოლომონ ზურგიელიძის წლისთავი უნაყოფოთ არ ჩიცვლიდა. ყველაფერს, რაც ამ დღის აღსანიშნავათ ქართველი საზოგადოებამ მოიმუშედა, მოელი ჩენი უურნალიც ვერ დაიტევს. ამიტომ ჩამოვთვლით ზოგიერთებს.

♦ შიუხელაგათ იშისა, რომ ნეტარსენებული დიდი მოტრფიალე იყო ძევლ მამა-პაპურ ზენ-ჩეეულებათა, ალ-პის ნაცულად „ეშმაკის მათრახის“ რედაქტიამ ერთი მანეთი და ჩილდებული შაური შესწირა ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას რამდენიმე ლტოლვილი ბავშვის აღსაჩრდელათ.

♦ განსვენებულის შირისუფლებმა სურვილი გამოსთქვეს, სოლომონის თხუზულებათა გამოცემის უფლება წერა-კიოხეის გამაცრულებელ საზოგადდებას გადასცენ, მხოლოდ იმ პირობით, თუ მას იოსებს იმედაშეილი გაუშევს რედაქტორობას და კორექტორობას.

შეთანხმება უცემელია.

♦ ამისგან დამოუკიდებლათ წერა-კითხვის მთავარმა გამგეობამ 17 წლით სტიპენდია დაუნიშნა სოლომონის შვილი შვილი გიმნაზიის გასათავებრით. პატარა შაქრო უკვე მეორე წელიწადი შეხუთ კლასშია და იმედიადანიშნულ ვადაში გიმნაზიას დაამთავრებს.

♦ იმავე გამგეობამ დაადგინა: მიერთოს ბ-ნ ნ. კალანდაძეს სოფ. სოკოლოუბნის რუქის შედგენა. უნდა იმედი ვიქინით ეს ღაპირება „რუქის არავი“ არ გამოვა.

♦ აზალი კლუბის მამასახლისთა მამასახლისმა, თ-ღმა მ. პატარაგაემ, უკვე შექურა პირობა ჩენს ცნობილ დეკორატორ მებაღე დავით ბუქაძესთან, აათა ამ უკანასკნელმა კლუბის საზაფხულო ბალში მოათავსოს ისეთი მშენებელი სურათი სოლომონისა ცოცხალი ყვაილებისაგან, როგორიც წელს მიუძღვნეს ჩენს მეორე ხარისხოვან მგოსნის შოთა რუსთაველს.

◆ ქართველ ხელოვანთა საზოგადოებამაც გა-  
დასწუყიტა თავისი წვლილი შეიტანოს ღიღებული  
მფლისნის სალაროში:

◆ წ. კ. გ. საზოგადოების სასკოლო სექციამ,  
თანაბმად სექციის თავმჯდომარის წინადადებისა და-  
ადგინა: „შეტანილ იქმნას „დედა-ენაში“ რჩეული  
ლექსიები მეოსნისა“. ჩვენ ვერ გაგვიგია რას  
ნიშნავს ამ შემთხვევაში სიტყვა „რჩეულის“ ხმა-  
რება. ვიმედოვნებთ, რომ ეს შეეხება ხასიათს ლექ-  
სისას (მაგ. საბაგშო, სამეცნიერო, ფილოსოფიუ-  
რი და სხვა) და არა მის ღრისებას. ვინაიდან უკა-  
ნასკნელ შემთხვევაში ორი აზრის ქონება შეუძლე-  
ბელია.

◆ მელნის ქარხანა „აღაროდიამ“, ნეტარხეს-  
ნებული მფლისნის ხსოვნის აღსანიშნავათ, მისი სამ-  
შობლო სოფლის, სოკოთუბნის, სამრევლო სკოლას  
შესწირა ერთი ბორჯომის ბოთლი მელანი.

◆ თფილისის ქალაქის გამგეობამ ბ-ნი ა. ი.  
ხატისოვის წინადადებით ერთ-ერთ ქრისტ, მუხრანის  
ხიდის მახლობლათ უკვე მფლისნის სიკვდილამდე  
დაარქვა „Содомоновская“.

◆ ხარცულის კლუბის ხელმძღვანელთ გადა-  
უწყვეტიათ გამორთონ „სოლომონ ზურგილიძის“  
დილა. მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი გამოჩენილი  
მფლისნები. წარმოდგენილი იქნება აგრეთვე „არზ-  
მალ-ალან“ ი. შემოსავლის ნაწილი მოხმარდება  
ქართველ მწერალთა აგარაკის მოწყობას.

როგორც მოგახსენეთ, ყველაფრის ჩამოთვლა  
შეუძლებელია, მაგრამ რაც ვთქვით, ისიც საქმარისია  
იმის გასათვალისწინებლათ, თუ რა მოხდებოდა  
პროექტის.

„მოკვტენის შემდგომ ჩემ სახელს  
უფრო გაძერვენ დიდხედა,  
მაგრამ ჩვენ მაინც კაცნი ვართ  
და ყველა ჩავალთ საფლავსა“.

წინასწარმეტყველური სისწორით სთქვა ჩვენ-  
მა მფლისნა სოლომონმა ერთს თავის მშვენიერ  
ლექსში.

მორიელი.

## ე ს ე ა ე პ ი რ ი

, დეპუტ. აკაკი ჩხერიძელს კახ-თის  
რკინის გზის დაპის მუშებმა დავა-  
ლეს მოლაპარაკება ამავე გზის უფ-  
როს გიორგი პავლესძე თუმანიშვილ-  
თან. დაპუტატი შეგვითხა თავადს  
ტელევიონით, თუ როდის ექნება თა-  
ვისუფალი დრო მოსალაპარაკებლათ.  
თავადმა მიუგო: ჩვენი საქმე ჩვენ  
ვიცით, აյ მესამე პირის ჩარევა სა-  
ჭირო აა არისო და განვეშორა“. (ცნობა უზრ. გაზეთებიდან)

„ვინც რომ ბახჩის ყარაულათ  
სარ, ცენტ, ჯორ, ვირ მიიწვიოს,  
მე ის ბოლოებს ნურც კა მაჭუმს,  
რაც იმ ბახჩაში მოუყვანოს“.

სოლომონ ჯურილიძი.

— ნებავ ვინ ოხერი უნდა იყოს, რომ აღარ  
მოასვენეს ეგ ტელეფონი — წყენით ჩაილაპარაკა  
თავადმა გიორგი პავლესძემ და ზანტათ გამოეხმა-  
ურა. — ვისთან გვაქვს საქმე?

— თქვენ გელაპარაკებათ დეპუტატი ჩხენ კე-  
ლი.

— რით შეგვიძლია გემსახუროთ?

— პირადათ მე არაფრით — მიუგო დეპუტატ-  
მა. — მხოლოდ მე მსურს რამოდენიმე წუთით  
თქვენთან მუსაიფი კახეთის რკინის გზის დეპოს  
მუშათა დავალებით.

თავადი გიორგი პავლესძე თათქარიძე (იგივე  
თუმანიშვილი) ერთობ შეშფოთდა. მან პირველათ  
გაიგო, რომ კახეთის რკინის გზისა აქვს დეპო,  
რომ დეპოში საქმობენ მუშები, რომ ამ მუშებს  
აქვთ რაღაც საჭიროება. რა იცოდა მათმა ბრწყინ-  
ვალებამ, თუ დეპუტატი სახელმწიფო დუმისა და-  
ინტერესდებოდა ამ დეპოს მუშათა ბედით და მას  
ასეთ უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენებდა, თო-  
რემ ამდენი ხნის სამსახურის დროს ერთხელ მაინც  
ინახულებდა ამ საბედისწერო დეპოს და მის მუ-  
შებს. ახლა კი რა ჰქნას? მოიწვიოს დეპუტატი  
რაზე ესაუბროს, როცა თითონაც არაფრით გაეგე-  
ბა? უარი უთხრას, — ეგ ხომ ერთგვარი გტიკეტის  
დარღვევა, ნეტარ ხსენებული სოლომონ ზურგი-  
ლიძის სიტყვით რომ ქსოვეათ, — ეგ ხომ ერთგვარი

უზრდელობაა. მაგრამ ამდენი ფიქრის ტროც აღარ იყო და თუნდაც დრო ყოფილიყო ლუარსაბ (იგი-ვე გიორგი) თათქარიძეს არც თუ ბევრი ფიქრის თავი აქვს. მან მეორე გზა არჩია.

— დეპო ჩემია. თუ მუშებს საქმე იქვთ ჩემ-თან მოვლენა, აქ მესამე პირი საჭირო არ არის. — გასახა თავადმა დეპუტატს და განეშორა.

—

— ადამიანო, ხომ არ შეგვამდა ის კაცი ასე ხეპტეთ რომ მოექეცი? უსაყვედურა კნეინამ ლუ-არსაბს და ჭიქით ჩაი მიუდგა.

— დედა-კაცო, ჩემი საქმე მე ვიცი! მესამე პირის ჩამორევა აქ არ არის საჭირო! მიუგო თავადმა.

— როგორ, მაში მე მესამე პირი ვყოფილვარ შენის აზრით, როცა შენს საქმეში აღარ მირევ? — მრისხანეთ გამოეკამათა კნეინა.

— კარგი ერთი, ღვთის გულისათვის! როცა არაფერი იცი უნდა დაჩუმდე, — საქმის კაცსავით დაიწყო ლუარსაბ პავლესძე თათქარიძემ. — მოწვევა ადვილია, მაგრამ ლაპარაკი ძნელი. არც კი ვა-ცოდი დეპო გვაქვს თუ არა და რა უნდა მეოქო შუშების შესახებ?

— ერთი მენახა მაინც... ნაღვლიანათ ჩაილა-პარაკა კნეინამ.

— შენ ნახეაზე ფიქრობ, მე კი სირცევილსა და სამსახურზე. ის ოხერი პორფირი სიმონიჩი ახ-ლა მაინც ყოფილიყო აქა. მაშინ დიღის სია-მოვნებით, კიდევაც მოვიწვევდი და კიდევაც ველა-პარაკებოდი.

— პორფირი სიმიონიჩი რაღა ჯორის კვერც-ხია, იმასთან რომ კი შეიძლებოდა და უმისოდა არა.

— ჯორისაა, თუ ცხენის ეგრე კია და.

უცებ კარები გაიღო და ოთახში ტეხნიკის ფორმაში გამოწყობილი უცხო ტომის კაცი შემო-ვიდა.

— აი, „ძალი ახსენე ჯოხი ხელში გექირო-სო“, ტყვილათ როდი ამბობს საღმრთო წერილი, შენიშნა კნეინამ. — აპა შენი პორფირი სიმიონი-ჩიც.

— ჩინებულათ მოქცეულხართ, გიორგი პავლო-ვიჩ! — შემოსელისთანავე მიულოცა პორფირი სი-

მიონიჩმა თავადს, ვინაიდან მას უკვე გაეგო (მო-სამსახურე გოგოსაგან) საქმის სრული გარემოება.

— სხვაფრივ არც შემეძლო. ერთი მითხარი გეთაყვა, რომელ სადგურზე გვაქვს ჩენ იგებული დეპო?

— ნათლულში, რასაკვირველია.

— მიკვირს, ერთხელ მაინც რატომ არ მოვკა-რი თვალი! დიდია!

— არა უშავს რა.

— მუშებიც არიან შიგა?

— რასაკვირველია, არიან.

— მერმე რა გვინდაო?

— მუშებს რაც უნდათ ის მე ვიცი! თქვენ ამაზე თავს ნუ შეიწუხებთ.

— ერთი ეგ მითხარი გეთაყვა: ნაეთლულს საგარეჯო მოსდევს, თუ კარდენაზი?

— ნეტავი რაში გქირით ეგა. განა თქვენთვის სულ ერთი არ არის?

— ვინ იცის, ვინმე ოხერმა მჟიოხოს და ცო-ტა რამ ხომ უნდა ვიცოდე.

— თქვენ, თავადო, ჩინებული ტონი აიღეთ. თქვენი პასუხი უნდა იყოს მოკლე და თავადიშვილის შესაფერი მედილურობით: — ეგ ჩენი საქმეა, მესამე პირი საჭირო არა.

— საზოგადოებრივ აზრთან ეგ პასუხი იქნებ გამოდგეს, მაგრამ ჩემი უფროსები რო გონს მო-ვიდენ მაშინ შეიძლება საქმე სხვაფრივ დატრიალ-დეს და „მესამე პირი“ თითონ მე დავრჩე. სულ ეგრე უპატრონოთ ხომ არ დასტოვებენ ამოდენა საქმეს.

— თქვენ ფიქრი ნუ გაქვთ.

მეორე დოლას თავადმა, პორფირი სიმიონიჩისა და კნიაზ ჯორჯაძის თანხლებით საკუთარის თვა-ლით ინახულა დეპო და მის განციფრებას საზღ-ვარი არა ჰქონია. პირველისავე მატარებლით გა-ემგზავრა კახეთის გზის დასათვალიერებლათ და გუშინ უნდა შემოსულიყო ჩენს რედაქციაში შთაბეჭდილებათა გასაზიარებლათ. მაგრამ, რო-გორც სარწმუნო წყაროებიდნ გავიგე: გურჯაანი-დან გამოსულ მატარებელს სოფელ ჩალოუბანში მაზუთი გამოელია და ჯერაც იქა სდგას.

\* \* \*

(უძლენი იმ.ხ. გიააც შევესახაშება)

მებალემ უცხო წალკოტი გააშენა: შეამქო ის კეთილშობილი ყვავილებითა. მთელი თავისი ხელოვნება იმან წალკოტის მორთვაზე სავსებით ცხად-ჰყო: მოქაზმა ის, ვითარცა კეყლუცი დედოფალი, და გვირგვინად თავისი შემოქმედებისა, შეა წალკოტში, ღიმილი ბუნებისა—ვარდი გაამეფა. მისუა მას პოხიერება, ერთხელ კიდევ გადახედა მარგალიტის საბუღალს და, ნიშნათ კმაყოფილებისა, თავი დააქნია და განშორდა.

ვარდმა იჯრძნო რა სიკეთილე ტახტისა თვისისა, ხარბათ აინორჩა. ნიადაგმა დაუზოგველათ მის-თვაზა რბილი და კეთილ-საამო ნოყიერება, რომელისაც მებალე ხშირათ ულბობდა შადრევანის ან-კარა წყლით. და შეიქნა ვარდი იგი შევნებათ და სიამაყეთ წალკოტსა მასა. შეპხაროდა მას მხილველი და ყოველნი სიამონებდენ იმისი ცხოველმყოფე-ლობით. ვითარცა წესია, ვარდმა ბუნებას მოსტაცა მხოლოდ ორი კოკობი და, მსგავსად დიაცის უბისა, მორცხვათ გადაშალა ის. მოფრინდა ბულბული. იხილა ლია მეტრდი სატრუფოსი და ნარჩარის ხმით შეამქო იგი. დაჰყეფა სირმა თავისებურათ და მაჯა ბუნებისა ააძგერა. აედერდა სირმი სიცოცხლისა და ასულდეგმულდა მიღამო. ამ დროს დაჭრიოლა ნელ-მა ნიავმა და ბულბულის ყურწიომტაც ჰანგებთან ერთად ვარდის საამო სუნი მოეფინა შიდამოს. და-ჰყურნა არებარე კეთილ-სურნელოვანებითა და სიცოცხლეს სანეტარო ნექტარი აგემა. შეირხა ყვავი-ლი ნაზათ. მშვენიერი სანახავი იყო წალკოტი ამ დროს.

მოვიდა მგოსანი. იხილა რა ბუნების ღიმილი, გრძნობა მოზღვავებული აურემლდა. ის შორიდან შესცეკროდა და შეპხაროდა ყოველივე ამას, მაგრამ ვითარცა ნაზი და სუსტი შევილი ამა ბუნებისა, ვერ შემძლე იყო შეხებად ყვავილისა მის მხოლოდ გრძნობა მორეული ებატიუებოდა მას შორს, მაღლა, იქ, სადაც სიცოცხლე და სული უკვდაფი—სიყვარული ერთი-მეორეში ჩაქულან და სიცოც-ხლეს ასპერაჟებენ. იმ დროს, როცა ბულბული თავის ჰანგებში დევთისნიერის ენით ტრჭობის აღს არ-ბეჭდავდა და მგოსანი ყვავილს სამყაროს ზემოთ

ეპატიუებოდა ნაზის გრძნობით, ოჲ... ღმერთო ჩე-მო!.. სად იყო მაშინ სიძლიერე შენი?!. შემოდგა უმდაბლესი და ულირი ქმნილება ბუნებისა, სული-ერი არაწმინდათ წოდებული, დაცინვა და შეურა-ცხყოფა ამ ქმნილებათა. შემოდგა ფეხი, შესძლო იმდენათ აწვდენა თავისი ბინძური დრუნჩისა, რომ შვენება ბუნებისა, სატრო ბულბულისა და ნეტა-რება მგოსნისა—ვარდი შეა გადალეწა. ღორმა აუ-ჩიჩქნა ვარდის ძირი და განეშორა.

ოჲ, კაღინიერებაგ! განა უშევერობა და თავხე-ლობა ამას ოდესმე აღემატება! განა მსოფლიომ უნ-და განიცალოს ასეთი დამცირება ბუნების შშენიუ-რი ქმნილებისა?!. ღმერთო ღიდებულო!! განა არ ძალგედო ქვეყანაზე ცოდვა მოგესპონ?! ღიახაც რომ შევძლო. რა იქნებოდა, რომ ეს ბილწი არსება—ლორი, ეს საშინელი დაცინვა ყოველივესი, არ გა-გვჩინა. ნუ თუ ვარდი ღორის საჯიჯვნი უნდა გახ-დეს!—ატრემლდა ბულბული. მთელი თავისი ნაღვე-ლი მაღლიანის ყელით გაღმოანთხია და აფრინდა. გრძნობა დაბნეული მგოსანი დაიბნიდა. მან თავისი ნაღველი თავისივე მგრძნობიარე გულში ჩაიქა. ის მოსწამლა იმან, რომ ერთხელ ნამუს აყრილი და გალერილი ვარდის ალდინება ყოვლად შეუძლებე-ლია.

ა. ბლიკვაძე.

ლორისათვის სულერთაა  
ია, ვარდი და სხვა რამეც  
ყველაფერსა ის შებლალავს  
თვისის გაუნათლებლობით.

სოლომიან ზურგიერიძე.

ეს პატარა კუპლეტი, ამოლებულია ღიდებული მგოსნის ლექსიდან, რომლებმაც სათაურად „ღრუ-ნჩში“ აწერია. დაიბეჭდა გაზეთ „მეგობარში“.

„ეშვაკის მარ“ რედაქცია.



## თევზონის გედინისავა

ვუძღვნი მთავარ სახელოსნოს მუშებს.

თფილისის რენის გზის მთავარ სახელოსნოს (ტიტული დიდია) მუშა, ოვედორე, ღამის 11 საათზე დაბრუნდა სახლში. იგი ყოველთვის ასეთ დროს ბრუნდება, ზოგჯერ უქმე დღეებშიც და ვინაიდნ მღვიძარე ცოლ-შეილის ნახევს უკვე გადაეჩია, ხშირად მეუღლეს სამუშაო ნორმით არწმუნებს ხოლმე თავის ვინაობაში.

დღეს თევზორე ტყლაპაძე ერთობ მხიარული დაბრუნდა. ის დიდი ხანია არავის ენახა ასეთ ხასიათზე და ან კი როგორ შეიძლებოდა ვანებს ენახა, როცა მან მხოლოდ დღეს მიიღო ათასგზის დანაპირები და გადანაპირები სამობილიზაციო ფულები.

მხიარეულება მთელს ოჯახს მოედო. მარიამა გააღმინა ოთხი უფროსი ბავში, საში დანარჩენი კი არ გაწხადეს ამ მხიარულების მოწამე, რაღაც ერთი მათვანი აყათ იყო, ხოლო ორი დანარჩენი შეგნებულათ ვერ გაიზიარებდა დედ-მამის ბედნიერებს მცირეწლოვანობისა გამო.

— მე დედილო ერთი ფეხსაცმელი მჭირია, — სთქვა უფროსმა ვაქმა — სიცივე რომ არ იყოს კიდევ არა უშავდა რა...

— გიყიდი შეილო, შენც გიყიდი, მიშასაც ვუყიდი. თამრასაც, ვანოსაც.

— ყველას უყიდი, მაგრამ ჯერ გაიგე რა ფასებია, — გამოედავა მარიამი — თითოს თითო თუმანი არ ეყოფა. უფეხსაცმლობას კიდევ მოითმენ მაგრამ...

— ფიქრი ნუ გაქვს, ადამიანო, ამთავად ყველაფერს ეყოფა და შემდეგ ღმერთია მოწყალე.

გამამნენებელი სიტყვაც ბეჭრს ნიშავეს ზოგჯერ, მაგრამ თევზორეს სიტყვას ნივთიერი საბუთიც მხარს უმაგრებდა. თითონაც არ იკოდა რომელი ან-გარიშით მოუწია მას ამდენი ფული. იკოდა მხოლოდ ისა, რომ რენის გზის მთავრობა მას იმაზე მეტს არ მისცემდა, რაც ერგებოდა. არც უნებლიერ ანგარიშში შესცდებოდენ იქაური ბუჭხალტერები.

მხიარული ბავშვები დაწვენ, ხოლო თევზორე ტყლაპაძე თავისი მეუღლითურთ ათასნაირთ ანაწილებდა მიღებულ თანხას. არც ერთ მათვანს წარმოდგენაც არ შეეძლო, თუ ოჯახს ამდენი აუცილე-

ბელი საჭიროების საგანი აკლდა. ყველაფერმა დღეს იჩინა თავი.

— მადლობა ღმერთს, ეს ფული ძლიერ კარგ დროს წამოვევეულა, — წარმოსთქვა მარიამმა.

— ქალო, მდენი ავარა და ოხერი დადის ამ ნაძალადევში. სიფრთხილე გჭირია. ფულს ცხადლივ გამოგვლეჯენ ხელიდან ეჭვი თუ კი აგაროვეს.

— მე ახლაც კი მეშინია, — მიუგო ცოლმა, — წელან რაღაც ხმაურობას მოვკარ ყური და გული გადამიბრუნდა.

— მეც გავიგონე ის ზუზუნი, მაგრამ ქარი...

— უ...უ...უ...უ...უ....

გაისმა საზარეული გუგუნი. თევზორეს ქოხმა თითქმის კანკალი დაიწყო; ჩამტვრეულ ფანჯარაზე გაკრულმა ქალალდმა ერთი საშინლათ დაიწილა და გაბრუებული თევზორე ლოგინიდან წამოაგდო.

გულწრფელად უარს ვყოფ გაღმოგცე თფილისის რენის გზის მთავარ სახელოსნოთა მუშის თევზორე ტყლაპაძის სულიერი მდგომარეობა დამყარებული შემდგომად იმ ბენიერი სიზრმისა. დაემკითხველმ თითონ წარმოიდგინოს.


ალიძაშია.

„სიძმრის ნახვა მაშვინ ვიცით,  
როცა ვიზიმთ დაძინებას...  
მარა ფასი არც რამე აქვს  
იქ ნახულს და განაგონებს.“

სოლომონ ზურგიელიძე.

ა მარგალიტი სიტყვები და უტყუარი პასუხი ზემორე მოყვანილი ფსიხოლოგიური სცენისა. „სიზ-მრის ახსნა“, შედეგნილი სოლომონ ზურგიელიძის მიერ და გამოცემული მიხა გაჩეჩილაძისაგან ერთი უდიდესი განძია ჩევნი შეუცნებლობისათვის.

„ეშვ. მათრ.“ ჩედაქცია.



შე ვამბობ, სპირტი კაცს ათრობს  
სპირტი მაგარი წყალია...  
ვინც იგი მეტი დალიოს,

## რ პ ი ნ ი ს ვ ზ ი ს



უანდარმი. თქვენი ბავშვი, ქალბატონო, ერთობ მოზრდილი მოსჩანს. უბიღეთოდ არ შეიძლება.

ქალბატონი. ძუძუმწოვარა ბავშისთვის ბიღეთი სად გაგონილა?

(ესი იმის დღეს უბედურს)

გაუჩინეს ცეცხლის ალია.

სოლომონ ზურგიელიძე.

## „სპილტონის პა“



შანდარში. აბა შევხედოთ...

— შეხედეს...

ԲՇ 10 ՎՃՋՋ ՀՀՅԱԲՈԵՃՋՋ

ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣପରିମାଣୀ ମହାନ୍ ଶକ୍ତିବୂଦ୍ଧ,  
ରାଜାଙ୍କ ଶୁଣିବା କାହିଁଟିଏ ପ୍ରାୟଗେ...  
କିମାତୁ ଫ୍ରେଣ୍ଡ୍ ସିମ୍ବିଲ୍ସିଙ୍ଗର  
ଶୁଣିବା ଉପରେ ଦାନକାରୀଙ୍କାଙ୍କ।”

დირ ამბავი აღარ იყო ჩემთვის წალების „და-  
უბა“. მე ამ მოვლენას კარგი ხნიდან შეცემიყო. შეცემის მიზანში იმიტომ, რომ ეს ჩემთვის დიდ საძნელოს  
არას წარმოადგენდა: მივიღოდი მეწალესთან, მივი-  
ტანდი წალებს და ვკითხავდი: „აბა, დოსტი, რო-  
გორ დამიპაჩინ კებ? — მეწალე, ანუ „საპოუნიკი“,  
როგორც „ქართულათ“ მას ვეძახით, ფილოსოფიურ  
გამომეტყველებას მიიღებდა, ახედ-დახედავდა წალებს  
ყოველ მხრივ, კარგათ დაზეერავდა ყოველ დაზიანე-  
ბულ ფრინტებს მისას, რომ დანამდევოლებით სცო-  
დნოდა, თუ სად მიეტანა იქრიში ნებს-სადგისით და  
ბოლოს მეტყოდა ქართულათ: „თლად ბატონი ჩე-  
მო, როგორც სახათო კაცი, და როგორც ჩემი ხში-  
რი მუშტარი (მე მასთან ყოველ თვეში მიზდებოდა  
რაიმე ფეხსაცმელის მიტანა) „პალმეტკა“, „ნაბოი-  
კები“. ერთი „კუსოკი“ ტყავი ცხვირში, ერთი  
ბრტყელი ფეხის ზურგზე, — სულ ელირება ერთი  
მანეთი! — მოგარომევ! ვეტყოდი რიხიანათ ოლონდ  
კარგათ გამიკეთე! ან კი როგორ არ მივცემდი,  
მცენარ ფეხსაცმელს გამიცოცხლებდა და მანეთი!..

Յու յս մոցի՞մ մոցաելցնյութ, հռմ ի՞մտյուն ո՞ր ցործ սածալեա մավազլցելուստքուն, ա՞ռ ոյս սաճեցլուն. շրջին- մարտալուն ցյեխսապմյըլո օսպու ոյս, թահա միւն սապութլաւ հրա-առո մանետուն ցալցեա ի՞մտյուն, սեցա թիւզալ սածահջապացիան յշտած սաճելուն ոյս, ցոնց հաճապ յշտու մանետու. դլցսապ ի՞մո ցյեխսապմյըլուն հրմոնէր այսուլցեցլուն ՚Շեյխն ձա օսու ՝Կա- նութալուրուն“. Մե կո յածութալնչ սյուսթաւ ցոյսացու (աե- լուպ սյուսթաւ զար). ածալ ցյեխսապմյըլուն յուղանշ ուբնեծոնես ցածացեցյուց, թեուլուգ եսունեսան լոյնի ույ ձավշիքի ձա և Շոց, հոցործ մցունենքիմ ըլուսն „ալությմուլ մեսրես մոյալնցը, օյտույն մոյուլունուն“ այս ցայսուրցազու, ածալ ցյեխսապմյըլուն լուրուցուն սյուրուուցնես. յշտեցլուն մածսոցն, „Քոնն წալցեծուսագմուն“ ձավշիքիք, մագրամ առսած ա՞ռ ցայսուց հցայտուրցիմ, մունասյես: „Շուրտյանս թշուլուն“ լոյնի արուն ձա ցըր

გავებეჭდავო, მაგრამ როდესაც რედაქტორები დღი  
დღი მუდარით დაიკითხნები ჩემი ნაზი გრძნობების გა-  
მოქვეყნებაზე, ცენზურა მომპაყრო მკაცრათ: ერთ  
შვერინერი დღეს, როცა გულის ფანცქალით მო-  
ველოდი უურნალ „შაქრის“ ახალ ნომრის მიღებას,  
გადავფურცლე და რას ვხედავ: ვნახე ჩემი ლექსი:  
თავში სათაური: „ჰიმნი ახალ წალებს“, ბოლოში  
ჩემი ფსევდიანომი „ცეხშიცელი“, დანარჩენი ცენზორს  
ამოეშალა. რადას ვიზამდი. იმ დღიდან აღარ გამი-  
ლია ახალ ფეხსაცტელზე ფიქრი გულში, აღარც  
ჰიმნი დამიწერია და არც არაფერი... და, ია,  
ავდექი შაბათს „ნაკლასობეგს“ ანუ მაცადი-  
ნობის შემდეგ და გადავწყვიტე წალები წამელო.  
სანამ გავემზავრებოდი, ერთ საათს ვითიქე  
იმაზე, თუ როგორი მიღება იციან ქუთაისელ „ზა-  
ბოშნიკებმა“, როგორ შეტევებოდენ ჩემს „პაჩინკის“  
და სხვა. ბოლოს იმ დაკვირვები მივეღი, რომ ისინი  
„პაჩინკის“ შესახებ უარს მეტყოდენ. ამისთვის აქ  
ხერხი იყო საჭირო. მეც საე მოვიქეეცი... რადგანაც  
ჩემი წალები ისე იყო გაცემილი, რომ გარედან  
საშინელი სანახვი იყო, და ამას „ზაბოშნიკების“  
დაფრთხობა რომ არ გამოიწვია, უცებ, მე კალოშე-  
ბით დავფარე წალის წყლულები. დავიწყე ერთიდან,  
შევეღი სახელოსნოში კალოშებით...

— მობრძანდით ბატონო, რა გნებავთ, ახალი  
თექსაც მელი? — უძმეკითხენ.

— არა, — ვუპასუხე დარცვენით, — მე, აგერ რა-  
ორც ხუთიოდე წუთის საჭმე, „პაჩინკა“ მაქის...

— არ გვცალია „პაჩინკისთვის“. მომახალა, აღარ დამატალა სიტყვა. ი. — იქ, იმასთან მიბრძანდა, მითხრა და მიმითითა მის გვერდში მყოფ მეწალეთან.

იმანაც უარით გამომისტუმრა. მივედი მესამეს-  
თან, მეოთხესთან, ყველას ვეუბნებოდი ხუთი წუ-  
თის საქმე არის მეთქი, მაგრამ ხელი არავინ მოპეი-  
და, ზოლოს მივედი ერთან. მოხელეს ლმობიერი  
გამომეტყველება შევამჩნიე და გავთამაძღი, დავედ-  
როჯე.

— აბა გნეოთ, გვიჩვენე, რა სჭირია მაინც  
ფახსაცმელს,—მითხრა და კალოშებზე დამაკვირდა—  
ეყ კალოშებს რატომ ატარებთ ბატონო ამ სიცხეში?  
შემძეკითხა განკუთვნილით. მე დავიძენი.

— კალოშებს... ისე... რაცხა იგათ ვარ, სულ  
ცოტა ნოტიო ფეხებიდან ჭყალფს ამიტებს.

— မာရ် ဂေါက်စာလျှောက် ပုဂ္ဂန်မြို့၏

ვაიმე, გავიფიქრე, კალოში გავიხადო! მერე ხომ მეტყვის უარს, როცა დაინახავს წალის მომძროალ ქუსლის, დახეულ ზედა პირს?

— გაიხადეთ, ბატონო, მომმართა კიდევ.

— კარგი გავიხდი ეხლავე, და გავიხადე...

— თავო, ეს წასულა ხელიდან, თქვე კაი კალ, მე რომ მკვდრის გაცოცხლება შემეტლოს, მამაჩემს ავადგენდ მკვდრეთით. მაინც მოიტა აქ, გაიხადე თლათ.

ვა ამ საათს? ახლა თლათ გავიხადო, მერე ჩულქები რომ არ მაცვაა, ხომ შევრცხვი...

არა, ისე შეხედეთ, თუ ფასზე შევწორდებით და „დამიპაჩინკებ“, მერე გავიხდი, თორემ ისე რატომ. მიუუგე მე... ახედ-დახედა და მითხრა:

— მაგი რომ გაკეთდეს ხუთიმანეთი ელირება, გამომიგზავნეთდა ორ დღეში იქნება მზათ.

ულტიმატუმი თუ გინდა ეს არის, გავიფიქრე. სად არის ხუთი მანეთი? კარგი, ფულიც რომ შეკონდეს, ფეხსაცელი როგორ გამოუყავნო, ორ დღეს ლოგინათ როგორ ჩავწევე, ან ფეხშიშველი როგორ ვიარო.

უცებ უკან გამოვტრიალდი და იქვე გვერდზე მეჯღანესთან მიევდი. წინათგრძნობაში არ მიღალატა. დამთანხმდა მეჯღანე „პაჩინკაზე“ გვიძრე ფეხზე წალა, შიშეელი ფეხი პალტოს კალთაში შევიყეცე და დავდექი ფეხზე. კინალამ წავიქეცი, ცალფეხზე დოგომას არვიყავი მიჩვეული; შემატყო ეს მეჯღანე და სკამი მიშვენა

— დაბრძანდით ბატონო! ამას, ქუსლი ქონია მომძრალი,

— რა სთქვით?

— ქუსლი უნდა დავუჭებოთ, კაბლუკი, განმიმარტა „ქართულათ“.

— მაშველეთ რამე, თქვენი ჭირიშე.

— ეხლავე, ერთ საათში მზათ იქნება.

— მე ახალი უურნალი „შაქარი“ შეონდა წამოლებული, ვიცოდი ცდა დამჭირდებოდა, ვიფიქრე, კითხვით გაეკრთობი მეოქი, ამოვილე, დავიწყე კითხვა, მაგრამ, გული ვერ დაუდევი, მაინტერესებდა, თუ როგორ გადაწყდებოდა „კაბლუკის“ დამაგრების საქმე.

— ქუსლი რო დამაგრდეს, „ჭიკატურა“, გრძელი ლურსმანი არის საჭირო, სთქვა ისტატმა.

— „შტუკატურის“?!? გავიკვირე.

— დია  
და ქუსლი და  
მაქვს?

— ბატონო, ც  
საღმე.

— მოითმინეთ აქვე მი

კედლებს მოავლო თვალი, ჩ

ხა, ქუდი, ყაბალიხი, ლურსმა

და, ლურსმნები მოაძრო და თაუ

„ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი

მე მისი ხერხი იმდენათ არ გამკვირვა

თავიზიანობა და ჩემ მდგომარეობაში მ

როცა მსხვილი ლურსმანებით ქუსლი დაა

რმეო წერილით დააკრა ტყავი და გასაწორა.

ზედა პირის „დაპანჩიკება“ იწყო. აწი არა უშაც


ქმეს თქვა, გავიფიქრე, და დამშეიდებულათ ვიწ

კითხვა უურნალ „შაქრისა“ სადაც შაქრის კრიზისე

ბევრი რამ ეწერა.

— ვატოვა...!! — შამომესმა. ავიღე თავი და ის-ტატმა გაღმომტა წალა, მკვდრეთით ამღარი. სამი მანეთი აიღო და წმოვედი კმყოფილი.. მაშინ მომავონდა შოთას სიტყვები „მაგრამ ღმერთი არ გას-წირავს კაცა შენგან განაწირსა“.

ლუკაციეს ლბოლება.



## დ ე კ ე ჭ ე ბ ი

შათუმი. ტრაპიზონიდან მოვიდა დათუაშვილი-საგან ტყავ გამშერალი ორასი მუშა. ტყავი ისე ჭარეთ და ხელოვენურათ აქვთ გამშერალი, რომ სახელოვანი სკეციალისტი ამ საქმისა ნემენოვიც შერით დაიწევის. ამბობენ ბ-ნმა მასხარაშვილმაც დაიწყო ეს ხელობაო, მარა ტყუილი იმედია. დათუ-

აშვილსაცით ნაღდათ და უნაკლულოთ ამ საქმეს ვერავინ შეასრულებს.

იქიდანგვე. მიხაილოვის ქუჩაზე მთავრობის კაცებმა დალუქეს კესის-ოლობისა და ჩერტკვევის მაღაზიები. ამბობდენ — რაღაც სპეცულიაცია. ნახესო... აბა სად გავონილა. ცხადია, იქ პროკლამაციები იქნებოდა. ვინ იფიქრებდა, რომ ესენიც სოციალისტები იყვნენ.

იქიდანგვე. შეპელოვის ქუჩაზე ერთ უცნობს შვიდი ლოტი თეთრი პური აღმოაჩნდა.

ხალხი ძლიერ განაცვიფრა ამ ამბავმა. „ბათუმის ვესტი“ თანამშრომელ კოკისაც ეს ამბავი საგაზეთოდ უწდოდა, მარა უცნობმა განაცხადა, რომ მას ებ თეთრი პური სოფელ ჯუმათილან ჩამოუტანია. ხალხის სიხარული ნააღრევი დარჩა.

ყანდერისკ

### (გულუნას სააგენტო.)

ფოთი. ხმოსანთა „ოპოზიცია“ პეკუნთა შიშით საიდუმლოთ ჩამოშორდა საქმეს და არჩევნების დროს მარტო ხუთი-ღა შერჩა ბ-ნ ტყემალაძის შავ ყუთს. ბ-ნ ტყემალაძისათვის მოულოდნელი გამოდგა 5 შავი კენჭის მიღება და მედიდურათ განაცხადა: „ვინც შავი მომტა უნდა ამიხსნას მიზეზიონ“. პასუხი ხმოსანმა ბ. ბ. მიქაბერიძემ და გაბუნიამ გასცეს. უთხრეს: „შავი კენჭის მიზეზი თქვენი უფარგისობა არის აღნიშნულ თანამდებობაზე, და ჩვენც შავს მოგცემდით სხვა კაცის შოვნა რომ შეძლებულიყოვთ“. ბ-ნი ტყემალაძე სრულიათ „დაკმიყოფილდა“ ამ „განარტებით“. აღნიშნულ არჩევნების გამო ჩვენმა სააგენტომ თავის მოხელე „გულომისანი“ თანამდებობიდან გადააყენა, რადგან გულომისანმა იწინასამერტყველა ტყემალაძის გაშავება და თქმა არ გაუმართლთა. გადააყენებული „გულომისანი“ თავს იმართლებს და ამბობს: ბ-ნი ტყემალაძე ქალაქის მცხოვრებთა სურვილის წინააღმდეგ არის არჩეულიო.

სააგენტოს მოხელე ქნი „როკაპი“ ამ მოკლე ხანში დასაბუთებულ მოთხოვნილებას წარუდგენს სასულიერო მთავრობას იმ დიაკთა შესახებ, რომლებიც „ბიკოლა“ ის „რძალი“ ს, და „ნათლი დედის“ ნილაბით, მაზლის შეილთან, მაზლთან და ნათლიასან ცხოვრობენ სჯულის კანონის ნება დაურთვე-

ლათ. მისი აზრით აღნიშნული დიაცები, როგორც ჯოჯონეთის საკუთრება დაუყონებლივ „როკაპს“ სამართველოს უნდა გადაეცეს. ვნახოთ?

ბ-ნი „თვალშავცის“ გამოძიებით ხეტყის ქარხნის მებატრონეები სამხედრო მდგომარეობით განუსაზღვრელიათ სარეგბლობენ მუშების წინააღმდეგ და ურჩ მუშებს საპოლიციო ნაწილში ისტუმრებენ.

ბ-ნი „მხიფავი“ დაბრუნდა გურიიდან, სადაც სასულიერო უწყების რევიზია მოახდინა და ახლო ხანში გამოაქვეყნებს თავის „შრომას“.

ბაზარში სეირნობის დროს უთავო ქალაქის მზრუნველის მოადგილეს ბ-ნ ტყემალაძეს სადარჯოზე მდგომა გოროდოვომ სამხედრო სალაში არ მისცა. შეურაცყოფილმა ტყემალაძემ ეს ამბავი საჩქაროთ უფროს მოხელეს აწობა და მოითხოვა „უდისცილინო“ გოროდოვოის დასჯა. ძიება სწარმოებს.

მოსალოდნელია საბრალო გოროდოვოი მსხვერპლი გახდეს მისივე ასეთი თავხედობისა.

შეორე დღეს ბ-ნ ტყემალაძის სეირნობის დროს ყველა გოროდოვოებს ერთის მაგიერ ინთავე ხელები ჰქონდათ ყურებთან მიღებული ბ-ნ ტყემალაძის სამხედრო სალაშისა და პატივისცემის ნიშათ.

## კალენდარი

„უსტავლელ ქალ-ბიჭთ არ იციან წიგნის წაკითხვის წესებია, სტავლა სჯობს უსტავლელობას, რაღაც რომ უკეთესია“.

ს ღომონ ზურგიერდის.

(გულები შუთაისის გულერნის ცოცლის გადამდებარების 99,99%).

წითელი ციფრები,  
წითელი ციფრები,  
ისეა ნაწყობი,  
როგორაც რითმები.  
ერთი თუ შავია,  
მასთან უნუგეშო,

მეორე წითელი  
და თან სანუგეშო.  
უყურებ, მატულობს  
ეგ უქმი დღეები,  
ლაშის მთლათ ვიუქმოთ  
თვეები, წლეები.  
თუმცალა სინოდმა  
სოჭვა ერთხელ: „შემოკლდეს  
ზედმეტი ჯაფისგან,  
რომ კაცი არ მოკვდეს“.  
მაგრამა სიტყვები  
ჩვენ ბევრი გვსმენია  
და საქმით ყველანი  
ვართ ერთობ მომენია.  
აი, თუნდ სიძვირე,  
ვიძახით—გაეფდეს,  
რომ ტყავის შემდგომად  
ხორციც არ გაგვერთვეს,  
მაგრამა, ხომ ხედავ,  
მატულობს სიძვირე,  
თუნდ დღით და ღამითაც  
ამაზე იყვირე!..  
ბევრია ასეთი  
ამ ქვეყნათ „სლუჩია“,  
მაგრამ ჯერ ეს კმარა,  
ავიკრათ ტუჩია.

— მოწაფე ნიჭაძევ,  
ერთი ეს მითხარი,  
კალენდრის ციფრები  
დღეს შავი რად არი?  
სდუშს...  
— იაპ, იაპ, მე,  
მე გეტუვი, ბატონი.  
— შენ, შენ ზარმაცაძევ?!

ბრძანეთ გავიგონო:

— დღეს საქმის დღე არის,  
მისთვის არის შავი!

— ყოჩალ ზარმაცაძევ,  
სჩანს მუშაობს თავი!

— ძირს წვრილ ასოებით  
წითლათ რა სწერია?

— ჭის ურჯულოთა უქმ...  
— სუ! ბუზიქერია!

შენ რას იტყვი ბიჭო!  
— ურჯულოს უქმია...  
— ჩერჩეტმა ჩერჩეტსა  
კუდი მოუქნია.  
არც სხვამ იცის ვინმემ?  
— არსაილან ხმაი.  
— ესეც უქმეს ნიშავს  
ქრისტიანებისას,  
ოლონდ მათი ლოცვა,  
ასე შვა წირვისას,  
აკლია თუ მეტობს,  
ნება არ მაქვს თქმისა.  
— მაშ თუ ასე არის,  
დღესაც უქმე იყოს.  
— სუსა! თქვე სულელებო,  
ვინმემ არ გაიგოს...  
შენ, ბუზიქერია,  
ხვალ ნახე, რა დღეა?!  
— ხვალე?! ხვალ, ბატონო,  
წითელი, —უქმეა.  
— ზეგი?

— ზეგე, კვირა.

— მას ზეგ „დვალატოე“,  
(აქ მასწავლებელმა  
რიცხვის სიახლოე  
იგრძნო... და თითებზე  
ითვლის განმარტოე),  
ოცდა ერთიც, ორიც,  
სამიც გამოტოე,  
ამის მიზეზები  
დიდ-ხანია ვპოე:  
უფროსი არ იყო,  
ფული ვერ დავტოე.  
მორჩა და გათავდა!!!  
(შესძახა ხმა მაღლა  
და იქვე გაქვავდა!)

მოწაფენი ერთათ  
აიშალნენ ყველა:  
ზოგმა იწყო სტენა,  
ზოგმა „ოუ ჩელა“.  
მათ ეგონათ: კლასი  
გაუთავდათ მთელად,  
მასწავლებელმა კი  
კვლავ მიჰმართა ვრცელად:

— ბატონებო, სმენა!  
ოდეს კალენდარში  
წითლათ აწერია  
სხვილ ციფრების შვაში,  
მაშინ ის უქმეა,  
და ნუ მოხვალო კლასში!  
მაგრამ თუ შევია  
წითელ „შენიშვნებით“,  
შევიძლია დავთმოათ,  
მხოლოთ შეთანხმებით,  
მაშ ვინა ხართ მომხრე,  
დღეს წავიდეთ სახლში,  
და ეს გაკვეთილი  
ორშაბათისაში  
გადვიტანოთ, იქნებ  
შეგივიდეთ თავში,  
თორემ დღეს გეტყობათ  
ხართ თქვენ ოცნებაში.

თუმცა არც უკითხავს  
არც ერთსა საგანში...  
შველამ წამოსწია  
თავისი თითები  
და იძახდენ ასე:  
„თანახმა ვიქნები!“  
მხოლოთ ერთ კუთხეში  
იჯდა ბიჭუკელა,  
ამ დღის უქმობაში  
ვერ ვინ დაჯერა;  
მან იცოდა კარგათ  
გაკვეთილი თვისი,  
მაგრამ ეშინოდა  
მას რისიმე თქმისი.

— ტუშ, ტუშ, ტუშ, მორჩა!  
შველა მეთანხმებით,  
ლოცვა გადიკითხეთ,  
შეტს ნუ მეკითხებით...

გაღის. ორშაბათი,  
გაღის სამშაბათი,  
მხოლოთ მისი ნახვით  
დასტუპა ოთხშაბათი...

ბატონებო, კმარა  
შეიცოდეთ ხალხი;  
სამოსწავლო დაგრჩათ  
მესამედი თალხი,  
და ეს მაინც დასთმეთ,  
დასთმეთ, თუ გიყვარდე,  
სულსა ნუ ამოხში  
ხელს რომ ჩაგივარდე,  
თორემ მალე, მალე  
გათავდება ომი  
და იცი რას მომკის  
აგრე ბევრის მდომი?  
მხოლოთ ხალხის რისხეას,  
გამოჭედილს ხალხში  
და გვიან იქნება  
შემდეგ ცემა თავში“.

ხატანა.

## ვ უ ჩ ე მ ე ს თ ა ნ

სცენა I მოქ.

(სცენა წარმოადგენს ქუჩას. ფურნის წინა სდგას აუგუ-  
ბელი ხადი. დიდი ჩოჩქოლი და უფინას.)  
ხაერთო ხმა: პური, ხლებ, სამი გირგანქა,  
ათი...

გარად ვთი. (უვითალით) ეჩ, იაზა! Стано-  
витеся ვთ ვათილოკს.

გარაპეტა. სლუში, ივან, მოი ოჩერედ, პური  
რადი ბოლა, მაღარიჩ ბუდიტ. (წინ წაიჭებს, შაგრა-  
ალა ქალთაში სწერება და არ უშებენ.)

ალია ეე, სად ზავიდა? ჩემი ოჩერედია და  
შენ ზინ ზავიდა!

გარაპეტა. (შეუტიას ქნევით და თვალების ბრია-  
ლით შეუტებს აჭაბს) ხელი გამიშვი, შე დონლუჭო,  
თორემ მოვიდა სიცათში.

ალია. (ძალიან გაფაგურებულა) ი დონლუს და  
შენა ვარ, ი ეშაქ და შენა ვარ, ი ზელლი და შენა  
ვარ...

გარ. დაცოა ეჩ, ეჩ, უნირაითесь ვიზ!  
(ქართულა და ალია ჩაშედგებან)

მიხა. (ქართულას) რათა შეილოსან, თუ ოჩერე-  
ბია, ჩამიდეგი უკან, კისერში და როცხ შენი რიგი  
მოვა, მაშინ მიდი წინ.

კარაპეტა. ხმა გაიქრე, თორემ ოჩერედს მოგცემ მე შენ. ისეოს ჩაგათხლაპეტ მაგ დარდაյ თავში, რომ ვინ იცის, ტეგნის რევოლუცია გაგიჩინობაში!

მიხა. შენ ეი, ემანდ ენა დაიმოკლე, თორემ ისე გაგაპტეყლო როგორც ლავაში.

კარაპეტა. ხმა მეტქი, თორემ აგიგე ანდერძი.

შეღვეული. (ჩარევა დამარაქში) რათა სჩეუბობთ, მჴილო! წესიერათ მიღია და ყველანი მოესწრებით. აბა ჩხუბი რა საკადრისია? (ამ დამარაქში ადგილს იცელის და კარაპეტას წინ ჩაუდგება.)

კარაპეტა. ეე, მამავო, სად მიცოცავ, სად? ჩენ ნასტავლენია გვიკითხავ და შენ კონტრაბატათ მიაპარები! (არ უშევებს)

მლვდლი. (დაბიჭულად) არა, მე... მე... შვილო, პური მინდა ვიყიდო, დღეს (იშვეს, მაგრა რა კარაპეტი ანაფორაში ჩაბდაუტებულია და არ უშევებს.)

კარაპეტა. კაკოი ვრემია კადა კიშკი ნაურსკი ლეზგინ კუ რანცუიურ!

კარალავო. Не нарушайте порядок!

კარაპეტა. სლუში, ივან, სკაფი ემუ შტო ჩდეს ნე ქელებ. ნაპასანა ონ ლეზიტ.

მლვდლი. (ძაღლის გაჭავრებული) გამიშვი, შე უშევენებულო, შენა!

გარადავო. (კვირიდით) Не нарушайте порядок! მდგვალი ჩამოდგება უკან.)

კარაპეტა. (ამ ჭიდავის დროს კარაპეტს წინ გადაუსწრებს რესის ჭურაქა გადათთავ ხელში. კარაპეტა გადათთავ სწრებულია და არ უშევებს) ეი, კურნისი, კუდა იდოშ, ნელზა და!

კუხარკა. (გაჭავრებული) А что тебе надо, ты пузо проклятое!

კარაპეტა. ნელზა, დუშა, ნელზა. იდი ნა მოი ნაზად, ტი ეე პისლე მენე პრიშოლ.

კუხ რკა. (მივარდება კარაპეტს) Молчи ты ваниочий чортъ, а то я голову раздроблю тебе. (წინ იშვეს, კარაპეტა არ უშევებს) Какъ ты смѣешь меня трогать, ты мордо проклятое!

(წარმენს თავში.)

კარაპეტა. ჰა, თორემ გავფრინე! (კარაპეტა ხელებს დატერს ჭუხარკას. ამ დროს მდგვალი წინ წაიშვეს, კარაპეტა ანაფორაში სწრება. ჭუხარკა და მდგვალი ეძახის გარადაჭიმის ჭიდავთაბა და ბდლარქია.)

კუხარკა. Городовой, задушили, помогите! გარადოვო. (ხელს სტაციონის ჯარაბებს) Какъ ты смѣешь быть женшину?! Иди въ участокъ!

კუხარკა. Онъ хотѣлъ меня поцѣловать...

კარაპეტა. კლანუს ბოლა, ნეტ. ნა შტო მნე ტაკოი ტარან, ჯადა მო უენა კაკ ტიტანიკ პარაზიდ ლევიტ ნა დევესპალი კრავატ ი, მენე აუიდაიტ. ის მო უენა ტრიცეტ ტაკოი სელოდეა ვიდიტ...

გარადავო. (ხმდის ბთლოს წამოგრაზეს) Иди, я тебѣ говорю!

კარაპეტა. (მიდის გაჭავრებული და თავისოვის დამარაქიანს.)

ვა, ვა, ვა, ვა, რა დღეში ვარ, ვიხრაკები, ვიშვი რალა! ამ დროებამ: გული, ხელი, სულ ერთიან დამიდაღა!

ფული არის, პურს ვერ ვშოვობ, არი დღეა რიგში ვდგევარ, პოლიცია კიდე მე მცემს, დამნაშევე თითქოს მე ვარ?!.

ახ, სად არის შაბრილება, კაცის ყადრი, სამართლი, ჩენ თვის მხოლოდ მუშტი ცხვირში და გვერდებში მათრახ-ხმალი?!

გოგია

## მ ა ც ი რ ა მ თ ხ ე ბ ა

„ე შ მ ა კ ი ს მ ა თ რ ა ხ ის“ მე-40 ნოემბრში მოთავსებული იყო კარიკატურა: „პარიზე ბათუმის სცენაზე“. სურათს წარწერა პეტრი: „მსახიობ ქალს პირი არა აქვს გამოხატული, მაგრამ ეს გარემოება არაფერს აბრკოლებს, ვინაიდნ იღნიშნულ მსახიობ ქალს პირი სრულებით არ დასკირვებიაო“.

ბათუმის კორეპონდენტი კი ვეწერს: „აღნიშნული წარწერა არ შეხება მსახიობ ქალს კავთელს, რომელიც მუდმივ პირნათლად სრულებს თავის მოვალეობას, არამედ სხვას, სცენის მოყვარე ქალს“.

რედაქცია ბოდიშს იხდის, ვინაიდან უნდღლიერი შეცომით დაუმსახურებელი უსიამოვნება მისურნა მსახიობ ქალს, და ასეთივე სიამოვნება სცენის მოყვარე მანდილობანს...

„ერთი ალილუია...

„სპილიდონი“\*) მოვაჭრენი მოსამავის ქაჩახი



- სპილიდონი ჩამოვიდა?
- გეახლათ...
- როგორ ბრძანდება?
- ღმერთის შეგედრამ უქმდა არ ჩაუარა... 50, ან 60 თუმანი უშელის.

\*) „სპილიდონი“ ქუთათურები სპილის უძახის.